ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲒᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 46-Ე ᲬᲚᲘ. № 177 (13262) | ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 29 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1965 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

200.000 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ

ᲬᲔᲚᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ ᲠᲮᲐᲛᲩᲘᲠᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲙᲘᲜᲓᲚᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ. ᲒᲔᲒᲛᲘᲗ ᲒᲐᲜᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ 148 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡᲓᲐᲜ ᲛᲝᲚᲘᲠᲔᲤᲘᲚᲘᲡ 76 ᲢᲝᲜᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ.

ᲐᲛ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜ 180 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲐᲡ.

Მ. ᲞᲝᲪᲮᲕᲐ.

ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ!

ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲝᲪᲚᲔᲑᲐᲐ ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ. ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲬᲘᲡ ᲩᲘᲡᲚᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲙᲘᲜᲓᲚᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ. ᲒᲔᲒᲛᲘᲗ ᲒᲐᲜᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ 148 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲚᲘᲠᲔᲤᲘᲚᲘᲐ 76 ᲢᲝᲜᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ.

ᲐᲛ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜ 180 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲐᲡ.

Მ. ᲞᲝᲪᲮᲕᲐ.

ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲝᲪᲚᲔᲑᲐᲐ **ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ** ᲩᲐᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ **ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ „ᲬᲘᲗᲔᲚᲛᲐ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲛᲐ“** (ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲗ Ა. ᲐᲚᲘᲮᲐᲜᲝᲕᲘ), ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ **25 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲛᲐ** (ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲗ Ე. ᲠᲣᲮᲐᲫᲔ).

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲙᲠᲔᲓᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲠᲒᲝᲚᲘ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲜᲐᲜ: ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲒᲣᲛᲑᲝᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ **Ლ. ᲤᲣᲠᲪᲮᲕᲔᲜᲘᲫᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ,** ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲒᲣᲛᲑᲠᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ **Ი. ᲓᲐᲚᲐᲜᲩᲘᲕᲐᲫᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ,** ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲒᲕᲘᲨᲢᲘᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ **Შ. ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ,** ᲐᲛᲐᲕᲔ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲠᲒᲝᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ **თ. ᲙᲐᲯᲐᲣᲠᲘᲫᲔ** ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ **Ა. ᲖᲐᲭᲐᲠᲘᲐᲫᲘᲡ ᲠᲒᲝᲚᲘ.**

ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲔᲘᲩᲐᲘᲝᲔᲑᲘ ᲨᲔᲒᲜᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲐᲫᲚᲔᲕᲔᲜᲓᲐᲜ, ᲐᲛᲐᲚᲐᲓ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲓᲦᲔ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲐᲠᲘᲜᲐᲜ: ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲒᲣᲛᲑᲝᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ **Ს. ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ,** ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲒᲕᲘᲨᲢᲘᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ **Ბ. ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ,** ᲐᲛᲐᲕᲔ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲠᲒᲝᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ **Თ. ᲙᲐᲯᲐᲣᲠᲘᲫᲔ** ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ **Ა. ᲖᲐᲭᲐᲠᲘᲐᲫᲘᲡ ᲠᲒᲝᲚᲘ.**

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲔᲘᲩᲐᲘᲝᲔᲑᲘ ᲨᲔᲒᲜᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗ ᲐᲫᲚᲔᲕᲔᲜᲓᲐᲜ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲓᲦᲔ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲐᲠᲘᲜᲐᲜ: ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲒᲣᲛᲑᲝᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ **ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐ** ᲓᲐ **ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲐᲜᲘᲡ** ᲠᲐᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ **ᲗᲝᲜᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.** ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲜᲐᲜ: ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲒᲣᲛᲑᲝᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ **Ო. ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ,** ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ **ᲗᲘᲚᲐᲕᲐ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ** ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ **Ა. ᲖᲐᲭᲐᲠᲘᲐᲫᲘᲡ ᲠᲒᲝᲚᲘ.**

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲔᲘᲩᲐᲘᲝᲔᲑᲘ ᲨᲔᲒᲜᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲜᲘ ᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲝᲪᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲐᲚᲐᲓ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲓᲦᲔ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲐᲠᲘᲜᲐᲜ: ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲒᲣᲛᲑᲝᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲘᲐᲝᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲘ. ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲐᲫᲚᲔᲕᲔᲜᲓᲐᲜ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲓᲦᲔ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲐᲠᲘᲜᲐᲜ: ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲒᲣᲛᲑᲝᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲘᲐᲝᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲘ. ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲜᲘ ᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲝᲪᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲐᲚᲐᲓ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ

რაიკომის მუშაობის სტილი და მეთოდები

ჩვენი პარტია დიდ იმედებს ამყარებს სოფლის კომუნისტებზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებზე, რადგან, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მ-მდივანი, წლის პარტიის პლენუმის გადაწყვეტილებებშია ნათქვამი, — ისინი მოწინავე ხაზზე იმყოფებიან. მოწინავე ხაზი კი მუდამ უფრადღებით და მზრუნველობით უნდა იქნას გარემოსილი.

ბოლოთეულ შრომელმოძღვ მივიტანოთ პარტიის გადაწყვეტილებათა სიბრძნე, ალაბალოთ ადამიანების ინიციატივა და თვითმოქმედება — ასეთია პარტიის რაიკომების მთავარი ამოცანა. ისინი მოწოდებული არიან ყოველდღიურად სრულყონ პარტიული მუშაობის სტილი და მეთოდები, რომლებიც ხელს შეიწყობენ რმას, რომ სწრაფად და მოფიქრებულად გადავწყვეთ ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები.

როდესაც პარტიული ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებზე ვლაპარაკობთ, უპირველეს ყოველისა ეგულისხმობთ **კადრების სწორად შერჩევასა და განაწილებას.** ამაზე დიდად არის დამოკიდებული ფრმატებათა მოძალება. ახლა დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოლმეურნეობის თავმჯდომარისა და მეურნეობის დირექტორის პირად ინიციატივას, მის სამეურნეო და პოლიტიკურ აღლოს, საქმის ცოდნასა და მაღალ პრინციპულობას.

ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ცოტანი როდი არიან ისეთები, რომლებსაც უნარი შესწევთ პრაქტიკულად გადაჭრან სოფლის მეურნეობის პროდუქტების უხვად წარმოების საკითხები. ესენი არიან ცხოვრების დიდი გამოცდილების მქონე ადამიანები, ახალგაზრდები, სპეციალისტები, რომლებიც მზად არიან ძალონენ დაიშურონ საქმის უკეთ დაყენებისათვის.

ხანდახან ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა მათ დაეყრდნონ ისე, რომ არ გაუწიონ მეურვეობა, არ ჩაერიონ წვრილმანებში? — არათუ შეიძლება, ეს ისეც უნდა იყოს.

მაგრამ, ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი შეიძლება დაზიანდნენ არ აღმოჩნდნენ შეცდომებისაგან. ამიტომ პარტიის რაიკომს თავის ერთერთ ძირითად საზრუნავად მიაჩნია დროზე მიუთითოს შემჩნეულ ნაკლოვანებებზე, დაეხმაროს, პრაქტიკულად ამაღლოს მათში საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა. ასეთი დამოკიდებულება ამთდამი ნდობა, პატივისცემა, ყურადღება. კადრების აღზრდის ეს მეთოდი სწორი და პრაქტიკულად გამართლებული მეთოდია.

კადრებთან მუშაობაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დაეყრდნო მეურნეობათა გამოცდილ ხელმძღვანელებს. ეი ორი ათეული წლია სოფელ სარაჭოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს **ნ. პუსეინოვი.** ეს კაცი ღრმად არის გატაცებული თავისი საქმით, ზედმიწევნით იცნობს საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებს. მისი მოქმედება, მოღვაწეობა ყოველთვის გამორჩეული საქმის სიყვარულით, ერთგულებით. კოლმეურნეობა ყოველწლიურად წინ მიდის, ეკონომიურად მდიდრდება. ნაბი ჰუსეინოვს, როგორც მეურნეობის კარგ ხელმძღვანელს, პატივს სცემენ არა მარტო თანასოფლელები, არამედ რაიონის შშრომელები, მთელი აქტივი.

მეორე წელია სოფელ ქრიულოში 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის ოკვამდგომარეად მუშაობს **ისლამ ისაევი.** მეურნეობა, რომელიც მან ჩაიბარა, მანამდე ჩამორჩენილთა რიგებში იყო: არ სრულდებოდა საწარმოო გეგმები, ადგილი ჰქონდა შრომის დისციპლინის უხეშ დარღვევებსა და სხვადასხვა დამანაშაულებას. ი. ისაევი გულმოდგინედ შეუდგა საქმიანობას. ფართოდ დაეყრდნო აქტივს. მოუსმინა რიგით კოლმეურნეთა რჩევას, წინ წამოსწია სპეციალისტთა როლი, და წარმატებებმაც არ დააყოვნა. ახლა ქოჩიულის კოლმეურნეობა ფრთებს შლის, აღარ გვიხდება თათბირებსა და საუბრებში მისი ხელმძღვანელების „დამუშავება“.

ეი ასეთ ხელმძღვანელებს მართლაც როდი სჭირდება, როგორც იტყვიან, „ხელის წაღება“, „ჩოხის კალთის“ ჩამოწევა. მთავარი ის არის, რომ ამ კოლმეურნეობებში უკანასკნელ პერიოდში შესამჩნევად ამაღლდა კომუნისტთა ავანგარდული როლი. პარტიის წევრები საქმეში ფიქრობენ, ფიქრობენ ადამიანებზე, ეხმარებიან ადამიანებს, ეხმარებიან ადამიანებს, ეხმარებიან ადამიანებს.

ეს ასეთი ხელმძღვანელებს მართლაც ბევრი ეჭირდება, ბევრი ეჭირდებოდეს ჩვენ ყველა ასეთ ხელმძღვანელებს, ბევრ ასეთ ხელმძღვანელებს, ბევრ ასეთ ხელმძღვანელებს.

ბოლნისის რაიონის ბევრ ადგილას ბევრ ადგილას ბევრ ადგილას

ეკონომიური სტიმულები

ჯარშაპა. აქ მუშაობა დაიწყო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა. პლენუმი მიეძღვნა ცვლილებებს სახალხო მეურნეობის განვითარების (1966-1970 წლებში) დაგეგმვისა და ხელმძღვანელობის სისტემაში.

პლენუმის მონაწილეებს დაურიგდათ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოხსენება. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ამ უკანასკნელ წლებში დაგეგმვის მეთოდების შეცვლამ კიდევ უფრო აამაღლა პოლონეთის ეკონომიკის საერთო ეფექტიანობის დონე. წარსული გამოცდილების საფუძველზე, აღნიშნულია მოხსენებაში, შეგვიძლია განვახორციელოთ შემდგომი ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად.

ცვლილებანი, რომლებიც უნდა განხორციელდეს, ითვალისწინებს: გეგმიანი ხელმძღვანელობის მეცნიერული ხასიათის გაღრმავებასა და გეგმის სტრუქტურის გაუმჯობესებას, რათა უკეთ შეესაბამებოდეს პოლონეთისა და საზოგადოების ოპტიმალური განვითარების მოთხოვნილებებს; საწარმოთა და გაერთიანებათა ფართოდ ჩაბმას გეგმების შედგენაში; სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ფართოდ აღრიცხვას და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა აღრიცხვას, რომლებიც განსაზღვრავენ პროდუქციის ხარისხს; ახალი ეკონომიური სტიმულების გამოყენებას; სამეურნეო საქმიანობის ყოველმხრივი კოორდინაციის ფართო შესაძლებლობათა შექმნას.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოხსენების გამო დაიწყო კამათი.

ვიგიტად იუგოსლავიაში

დელი, 27 ივლისი. (საკდესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ლ. ბ. შასტრი, რომელიც იუგოსლავიაში მიემგზავრება, დღეს სპეციალური თვითმფრინავით გაფრინდა ბომბეიში. იგი იუგოსლავიაში 4 დღის სახელმწიფო ვიზიტად მივემგზავრება.

დელის პალამის აეროდრომზე შასტრიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ინდოეთისა და იუგოსლავიას ერთნაირი შეხედულებანი აქვთ ბევრ საერთაშორისო საკითხზე. თანამედროვეობის მთავარი პრობლემაა, განაცხადა მან, მშვიდობის შენარჩუნება. ამ პრობლემის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი გახდა ამ ბოლო დროს ვიეტნამის საკითხი.

შასტრიმ აღნიშნა, რომ იუგოსლავიის პრეზიდენტ ტიტოსთან საუბრების დროს განიხილავა ვიეტნამის მდგომარეობა.

სოლიდარობას უცხადებენ

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმართება ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის მიტინგები. მიტინგების მონაწილეები მოითხოვენ გაიყვანოს ამერიკამ მთელი ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან და შეწყვიტოს საპაერო თავდასხმები ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. ოდერის ფრანკფურტში მიტინგი გაიმართა ლოზუნგით: „ვიეტნამი — ვიეტნამელებს!“.

ტოკიო. ტოკიოს ხიბინის პარკში გაიმართა მშრომელთა მიტინგი. მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც პროტესტი განაცხადეს იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აგრესიას აწარმოებს ვიეტნამის მიმართ.

ჯაკარტა. ინდონეზიის ერთიანი პარტია და იაპონიის სოციალისტური პარტია თავიანთ ერთობლივ განცხადებაში გმობენ ამერიკის ინტერვენციას ვიეტნამში და მოითხოვენ დაუყოვნებლივ მოეღოს ბოლო ამ ინტერვენციას. ჟენევის შეთანხმებათა შესაბამისად, ხაზგასმულია განცხადებაში, უცხოეთის მთელი ჯარები უნდა გაიყვანონ ვიეტნამის ტერიტორიიდან. ვიეტნამის საკითხის მოგვარება თვითონ ვიეტნამელი ხალხის საქმეა. (საკდესი).

მორიგი თავდასხმები

საგონი, 28 ივლისი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება: ამერიკის თვითმფრინავები, რომლებსაც ბაზა აქვთ ამერიკის მე-7 ფლოტის ავიამზიდებზე და სამხრეთ ვიეტნამსა და ტაილანდში, 26 ივლისს შეეკრნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სანაპირო სივრცეში, ცეცხლი დაუშინეს და დაბომბეს ნინ-ბინის, თხან-ჰოის, ნგე-ანის, ჰა-ტინისა და კუანგ-ბინის პროვინციების ბუნებრივად დასახლებული რაიონები და სამოქალაქო ობიექტები. იმავე დღეს ამერიკის თვითმფრინავებმა დაბომბეს ქალაქები დონგჰოი, ლაი-ტაუ და დიენ-ბიენ-ფუს რაიონი.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამერიკის ავიაციის ახალი ყაჩაღური თავდასხმის გამო ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის კავშირის მესიჯ მტკიცე პროტესტი განაცხადა და მოსთხოვა შეერთებული შტატების მთავრობას შეწყვიტოს ყაჩაღობა და დაიცვას ვიეტნამის შესახებ ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი.

პიტი პონსერვატორთა ლიდერია

ლონდონი, 27 ივლისი. (საკდესი). ედვარდ ჰიტი ინგლისის კონსერვატიული პარტიის ლიდერი გახდა.

დღეს კონსერვატორთა საპარლამენტო ფრაქციაში გაიმართა პარტიის ლიდერის არჩევნების პირველი ტური. დასახელებული იყო რ. მოდლინგის, ე. ჰიტისა და ა. პოელის კანდიდატურები. მაგრამ პირველ ტურმა კანდიდატმა ვერ დააგროვა საჭირო რაოდენობით ხმები. არჩევნების პირობებით პირველი ტურის შემდეგ გამოაცხადებულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმების ახსოლუტურ უმრავლესობას, და გარდა ამისა, 15 პროცენტით მეტს, ვიდრე რომელიმე სხვა კანდიდატი.

ჟენევისკენის შეჯამების დროს აღმოჩნდა, რომ ჰიტს ხმა მისცა 150 კაცმა, მოდლინგს — 133 და პოელს — 15 კაცმა.

ხუთშაბათს უნდა გამართულიყო კენჭისყრის მეორე ტური. მაგრამ პარტიის ლიდერობის ყველაზე შესაძლებელმა პრეტენდენტებმა ტორნეიროფტმა და ოუნსმა დღეს უარი განაცხადეს თავიანთ კანდიდატურებზე. ხოლო შემდეგ ეროვნულ მოდლინგმაც მოხსნა თავისი კანდიდატურა ჰიტის სასარგებლოდ.

მკაცრი ეკონომიის კურსი

ლონდონი, 28 ივლისი. (საკდესი). უშინ ინგლისის ფინანსთა მინისტრმა ჯეიმს გრეგმა თემთა პალატაში წაიკითხა მთავრობის განცხადება ინგლისის ეკონომიკის მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. იმ მიზნით, რომ ქვეყნიდან დეფიციტი საგადამხდელო ბალანსისა, რომელმაც ქრონიკულად ფაქტიური ხასიათი მიიღო, ლეიბორისტული მთავრობა აპირებს შეამციროს კაპიტალური მშენებლობის ხარჯები მრეწველობის ნაციონალიზებულ დარგებში, აც შეიძლება შეამციროს მოწყობილობა შესყიდვა საზღვარგარეთ, შეამციროს ცენტრალურ უწყებათა და ადგილობრივ სახელმწიფო დაწესებულებათა ხარჯები. მთავრობა აავალებს ყველა სახელმწიფო დაწესებულებას „უარეს“ მაცარი ეკონომია“ გასწიოს საზღვარგარეთის ხარჯებში და ყოველი ღონე იხმაროს შემოსავლის გასაზრდელად.

განცხადებაში მთავრობა აღნიშნავს, რომ 400 მილიონი გირვანქა სტერლინგით შეამცირებს სამხედრო ხარჯებს 1969-70 წლებისათვის. უმთავრესად „გადავლის ამ ნაწილის ხარჯზე, რომელიც ეროვნულ გადავლას ახდენს საგადამხდელო ბალანსზე“. მომავალ წელს სამხედრო ასიგნებანი 100 მილიონი გირვანქა სტერლინგით უნდა შემცირდეს.

ლეიბორისტული მთავრობის ამ ეკონომიურმა ღონისძიებებმა დიდად აალაფა ინგლისის საქმიანი წრეები. მოსალოდნელია, რომ ეს ღონისძიებანი ცხადად ამაფხიერებს ინგლისის ეკონომიურ მდგომარეობას.

ბულგარეთის დელეგაცია საგენტოს ნოდგა

სოფია. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება ბორის ველჩევის განთავისუფლების შესახებ პარტიული და სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, რათა მან მთელი ძალლონე მოახმაროს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მდივნად მუშაობას. ამ კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულია ნინკო სტეფანოვი.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმმა აგრეთვე გამოსცა ბრძანებულება იმის შესახებ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო გაიყოს შინაგან საქმეთა სამინისტროდ და მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტად.

მოწვეულია რუმინეთის დიდი ეროვნული კრება

ბუქარესტი. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ გამოსცა დეკრეტი იმის შესახებ, რომ მომდინარე წლის 20 აგვისტოს მოწვეულია რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების სესია.

ფართოვდება ენერგეტიკული გაზა

ბუდაპეშტი. ამას წინათ საზხალომბატში ამუშავდა ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის პირველი რიგი. ამ ქარხნის საწარმოო სიმძლავრეა 3 მილიონი ტონა ნავთობი წელიწადში. ქარხანა შენდება და ამავე დროს უკვე ყოველდღიურად იძლევა 3 მილიონი ფორინტის ბენზინს, სოლარს, გუდრონსა და სხვა პროდუქციას.

სწრაფად ვითარდება უნგრეთის გაზის მრეწველობა. თუ 1961 წელს უნგრეთში გაზის მოპოვება შეადგენდა მხოლოდ 100 მილიონ კუბურ მეტრს, ახლა უკვე 900 მილიონი კუბური მეტრია. (საკდესი).

უპირველესი ამოცანა

პრაღა. წყალდიდობით გამოწვეული ზარალის აღმოფხვრის მთავრობის კომისიამ განიხილა საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები სამხრეთ სლოვაკეთის ქალაქებსა და სოფლებში. წყალდიდობით დაზარალებულ მოქალაქეებს სახელმწიფო აუნაზღაურებს დაკარგულ მოძრავ და უძრავ ქონებას. სახელმწიფო ასიგნებანი საცხოვრებელი სახლებისა და სხვა ობიექტების აშენებლობისათვის შეადგენს 200 მილიონ კრონს.

შეიქმნა წყალდიდობით დაზარალებულებისადმი სოლიდარობისა და დახმარების ფონდი, რომლის სახსრები უკვე 56 მილიონ კრონს აღემატება.

ფონდი იღებს დახმარებას საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნებისაგან.

მე ვნახე საქართველო

პეტრე მარცინიშინი
კოლონელი ჟურნალისტი

„... თვით მარკო პოლო, — თუმცა იგი მხოლოდ მოგზაური კი არ იყო, არამედ როგორც ვაჭარი დიდად აფასებდა ფულსა და დროს, — იმდენად მოხიბლა საქართველოს დედაქალაქის მცხოვრებთა სტუმარ-მასპინძლობამ, რომ ორ კვირაზე მეტ ხანს განუწყვეტლივ ატარებდა დროს თავის თბილისელ კოლეგებთან. სამაგიეროდ შემდეგ თავის ცნობილ ნაწარმოებში „მსოფლიოს აღწერა“ მან თბილისს უწოდა „უმშვენიერესი ქალაქი, რომელსაც გარს აკრავს ლამაზი გარეუბნები და მრავალი ციხე-სიმაგრე“, სადაც ამზადებენ „შესანიშნავ აბრეშუმს და სხვა ქსოვილებს“, ხოლო ღვინო „უმაღლესი ხარისხისაა“.

ამ სიტყვებით იწყება პოლონელი ჟურნალისტის პეტრე მარცინიშინის რეპორტაჟის ციკლი, გამოქვეყნებული პოლონურ გაზეთ „ერნეე ეოლნოსტში“. („თავისუფლების ჯარისკაცი“).

„ტერიტორიის ოდენობით საქართველო ერთ-ერთი ყველაზე პატარა საბჭოთა რესპუბლიკაა. სამაგიეროდ მისი ბუნება განსაკუთრებით მდიდარი და მრავალფეროვანია. საბჭოთა კავშირში არ არის სხვა რესპუბლიკა, სადაც ასე მცირე ფართობზე იყოს ესოდენ სხვადასხვა წარმომადგენლები ფლორისა და ფაუნისა — ქინაქინის ხით და ფორთოხლის ჭალებით დაწყებული და ნაძვითა და შქერით ფამთავრებული; ჯიქითა და აფთარით დაწყებული და კვერნითა და ველურთაგანი დამთავრებული. ამ პატარა ქვეყნის თვითეული მხარეს აქვს თავისი ჰავის თავისებურებანი, სხვა რელიეფი, სხვა ნიადაგი; თითქმის ერთმეორის მეზობლად მდებარეობენ მუდმივი თოვლისა და მარადწყვანე მცენარეულობის რაიონები; მკაცრი, ნახევრად უდაბური ვული და იშვიათი ნაყოფიერების მინდვრები“.

„საქართველო, რომლის ბუნების სილამაზეს უმღერეს პოეტებმა, ეკონომიურად რევოლუციამდელი რუსეთის ყველაზე ჩამორჩენილ განაპირა კუთხეებს ეკუთვნოდა. ეს იყო მესაქონლეობა-მიწათმოქმედების ქვეყანა, რომელსაც არა ჰქონდა განვითარებული მრეწველობა, არა ჰქონდა უმაღლესი განათლება. მთელი ქიმიური მრეწველობა, მაგალითად, წარმოდგენილი იყო თბილისის ასანთის ფაბრიკით, სადაც 47 მუშა შრომობდა. აქ დედაქალაქში, კონცენტრირებული იყო მთელი ლიტონდამშუშავებელი მრეწველობა, რომელიც ხუთი პატარა საწარმოსაგან შედგებოდა.

აი მიმკვიდრეობა, რომელიც საქართველოში მიიღო წაბჭოთა ხელისუფლებამ. საკმარისი გახდა ორმოც წელზე ცოტა მეტი ხანი, რომ სოციალისტური წყობილების ახალ პირობებში რესპუბლიკას მთლად შეეცვალა თავისი ეკონომიური და კულტურული სტრუქტურა. დღეს საქართველო ერთ-ერთი ყველაზე ინდუსტრიული რესპუბლიკაა. სრული სიმძლავრით შუშაობს რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, რომელიც წელიწადში ათასობით ტონა ფოლადსა და თუჯს იძლევა. აღმოცენდა დიდი ქიმიური და ცემენტის ქარხნები, განვითარდა ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ავტომობილმშენებლობა. 40-ჯერ გაიზარდა ქვანახშირის ამოღება, რამდენიმე ათეულჯერ გადიდდა მადნის მოპოვება. უკანასკნელ ხანს ათვისებულ იქნა ისეთი რთული მანქანების წარმოება, როგორიც დიდი სიმძლავრის ელმავლებია; შექმნილია არაჩვეულებრივად ზუსტი ჩაის საკრეფი მანქანა — ერთადერთი ასეთი მანქანა მსოფლიოში. უკანასკნელ წლებში საქართველოს საწარმოებმა ათვისესს 500-ზე მეტი ახალი სამრეწველო საკეთობათა წარმოება. სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა წარმოების ავტომატიზაციას. საქართველოს მრეწველობის პროდუქცია ეგზავნება არა მარტო საბჭოთა ბაზარზე, არამედ გაავქვთ 60-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის მაღალინდუსტრიულ ქვეყნებშიც“.

3. მარცინიშინს მოჰყავს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ბუმბერაზული ზრდის ციფრები, რომლებიც უთუო ინტერესს წარმოადგენენ პოლონელი მკითხველისათვის. რევოლუციამდელი საქართველო ყოველწლიურად იძლეოდა 500 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლს, წელს კი უნდა მოეკრიფოს 200 ათასი ტონა. 1965 წელს დაგეგმილია მოიკრიფოს 500 ათას ტონაზე მეტი ყურძენი — ჩინებული ნედლეული განთქმული ქართული ღვინოებისათვის. ეს რომ სწორედ ასეა, ამას მოწმობს ასზე მეტი ოქროს მედალი, რომლებიც ამ ღვინოებმა უკანასკნელ წლებში მოიპოვეს საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე. 100 ათას ქუტკარ ციტრუსოვანთა ბაღებში ნავარაუდევია მოიკრიფოს მილიარდზე მეტი ცალი „ოქროს ნაყოფი“ — ფორთოხალი, ლიმონი, მანდარინი.

„რევოლუციამდე საქართველოში არ ყოფილა უმაღლესი სკოლა. სამაგიეროდ დღეს საქართველო გამოვიდა საბჭოთა კავშირის ყველაზე განათლებულ ხალხთა პირველ რიგებში. რესპუბლიკაში მოქმედებს მეცნიერებათა აკადემია, რომელიც კელევითს მუშაობას ეწევა მეცნიერების ყველა დარგში. აკადემიას სათავეში უდგას შესანიშნავი მათემატიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი. რესპუბლიკაშია 18 უმაღლესი სასწავლებელი, 150-მდე სხვადასხვა სამეცნიერო ინსტიტუტი.

ფართო გზაა გახსნილი კიბერნეტიკის წინაშე. ქართველი მეცნიერები სულ უფრო ხშირად იყენებენ ელექტრონულ გამოთვლითს ტექნიკას და წარმატებით წყვეტენ სამრეწველო წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პრობლემებს.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში 100 ათასი სტუდენტი სწავლობს, ხოლო 1.200-ზე მეტ საშუალო სკოლასა და ასტექნიკუმში ცოდნას იძენს 850 ათასი მოსწავლე. უმაღლესი განათლების დარგში საქართველომ გაუსწრო ისეთ ქვეყნებს, როგორიც არის საფრანგეთი ან ინგლისი. ახალგაზრდობა უნდა ამაყობდეს, ასეთ დროს რომ ცხოვრობს...“

„თბილისი — თანამედროვეობა ხელს უწვდის ისტორიას“ — ასეთი სათაური აქვს პოლონელი ჟურნალისტის ერთ-ერთ კორესპონდენციას.

ამბობენ, რომ ყოველმა ტურისტმა, რომელიც თავის თავს პატივს სცემს, საქართველოს დედაქალაქის გაცნობა უნდა დაიწყოს მთაწმინდიდან, ამაყად რომ დასცქერის ქალაქს. ჩვენც ავდიეთ მთაწმინდაზე, სადაც სასიამოვნო რესტორანში შეგიძლიათ კარგად ისადილოთ და ამავე დროს დატკბეთ ქალაქის მშვენიერი პანორამის ცქერით. თუ დღისით თბილისი განუმეორებლად ლამაზია, თავისი მწვანე სამოსით, ღამით ზღაპრულ სურათს ქმნიან ფეერიული კონტურები ასეულ ათასობით ჩირაღდნით გაშუქებული რაიონებისა, ტერასებად რომ მოიმართებიან მაღლა, და ხეებში ჩაფლული ქუჩებისა. თბილისის მცხოვრებნი მთაწმინდაზე ადიან არა მარტო იმისათვის, რომ ქალაქის მომხიბლავი პანორამის ცქერით დატკბნენ. მთის ბლატზე უკანასკნელ წლებში გაშენდა 200 კაჟარი მშვენიერი ბარკი, სადაც ზაფხულში შეიძლება გამოეფინოს ბინიდან „ბუნდესტაგის ყველა ფრაქციის და განსაკუთრებით გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღმოსავლეთის ბიუროს თანხმობით“. გაზეთი აღნიშნავს, რომ „ბალიბინის აქციას“ ახორციელებენ „ბუნდესვერის ფსიქოლოგიური საბრძოლო ასეულები“, რომლებიც დაბალაკებული არიან მიუსტერში, კობლენცსა და ულმაში, და ამ აქციას მეთაურობდა ბუნდესვერის „ფსიქოლოგიური თავდაცვის“ პასუხისმგებელი პოლკოვნიკი ტრენერი.

„ზიუდოიჩე ცაიტუნგი“ არ მალავს, რომ პროპაგანდისტულმა აქციამ გამოიწვია არა მარტო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბრალდებანი, „ბუნდესტაგის ყველა ფრაქციის“ ბოიკოტი, ...



ბიბლიოთეკა

...ტურის სხვა... ...ტეტს შეადგ...

პოლონელი ჟურნალისტი მოგვითხრობს „არაჩვეულებრივად ჯამოცცხლებულ რუთაველის პროსპექტზე — რესპუბლიკის მთავარ ქუჩაზე“. საქართველოს მუზეუმის მიღიონ ექსპონატაზე, რომლებიც ქართველი ხალხის ორი ათას წელზე მეტი ხნის ისტორიისა და კულტურის მოწმენი არიან, ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის ვრცელ დარბაზებში განლაგებულ ექსპოზიციებზე, სადაც შეიძლება გაეცნოთ საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის განვითარებას; სალიტერატურო მუზეუმზე, რომლის 40 ათასი ექსპონატი მოგვითხრობს დიდ ქართველ მწერალთა და სახოგადო მოღვაწეთა — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე“. ღირსშესანიშნავ ადგილებში მრავალი საათის რეიდის დასასრულ რამდენიმე წუთით შევდივართ ბოტანიკურ ბაღშიც. ამ მყუდრო ადგილას მსოფლიოს მცენარეულობის თითქმის ყველა სახეობას ნახავთ. აქ ბუნების ამსოლუტური ჰარმონია მეფობს.

საქართველოა დედაქალაქში იდეალური ჰარმონია მეფობს არა მარტო ფლორის სამყაროში. აქ ასევე თანხმობით, ერთი დიდი ოჯახივით, ცხოვრობენ სხვადასხვა ხალხის შვილები. იმიტომ რომ თბილისი ინტერნაციონალური ქალაქია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მის ქუჩებში გაიგონებთ ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, უკრაინულ, ოსურ, ასირიულ და სხვა მეტყველებას. აქ 52 ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ, მათ შორის შეიძლება ნახოთ პოლონელებიც. ყველა, ვინც როდისმე მოხვედრილა თბილისში, გულღიად მიუღიათ. გზა დაბშული იყო მხოლოდ მტრებისათვის. ამას მოგვაყონებს კომკავშირულ ხეივანზე აღმართული ქანდაკება ქალისა, მარჯვენა ხელში მახვილი რომ უჭირავს, მარცხენაში კი თაფლი. ეს საქართველოს სიმბოლოა. მახვილი ხელში ხვდებოდა იგი მტრებს, ხოლო საუცხოო ღვინით სავსე თასით — მეგობრებს“.

ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების კიდევ მრავალ და მრავალ საინტერესო ფაქტზე მოუთხრო თავის მკითხველებს მეტრ მარცინიშინმა. პოლონურ გაზეთში საქართველოს შესახებ რეპორტაჟების სერიის გამოქვეყნება, რომლებიც უხვად ილუსტრირებულია ფოტოსურათებით, ერთხელ კიდევ მოწმობს ქართველი და პოლონელი ხალხების ტრადიციულ მეგობრობას.



საერთაშორისო ცხოვრება

მთავარი საკითხია განიარაღება

ჟენევა, 27 ივლისი. (საკდესი). თითქმის ერთი წლის მუსვენების შემდეგ დღეს მუშაობა განაახლა 18 სახელმწიფოს კომისიამ ეროვნულ გაფანტვა-მოლიოფოს ...ბის ...ბ...ბ...ბ

ჩვენს მკითხველებს!

როდის ილებთ გაზეთ „კომუნისტს“?

ძვირფასო მეგობრებო, „კომუნისტის“ მკითხველებო!

ყოველ დილით, ყოველ დღეს მკითხველი მოუთმენლად ელის ფოსტალიონის გამოჩენას. ეს სავსებით ბუნებრივია. მან ხომ ახალი გაზეთები და წერილები უნდა მოიტანოს! ჩვენ არ შევუდგებით იმის განმარტებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის, მკითხველებისათვის გაზეთის, ჟურნალის, წერილის სწრაფად, შეუფერხებლად მიტანას. გულსატკენია მხოლოდ ის, რომ ხშირად მოგვდის სიგნალები ჟურნალ-გაზეთების ჩაბარების დადგენილი წესის შეუსრულებლობაზე. მშრომელები, არც ისე იშვიათად, გამოთქვამენ საყვედურს ფოსტის მუშაობის გამო. მკითხველები არ მალავენ თავიანთ კანონიერ უკმაყოფილებას, რომ, მაგალითად, თბილისში, ყოველთვის დილით როდი იღებენ ახალ გაზეთებს, რაიონები და ქალაქები, სადაც ამის შესაძლებლობაა — იმავე დღეს, ხოლო შედარებით დაშორებულ ადგილებში — გაზეთები მიაქვთ დასტებად, ერთბაშად რამდენიმე დღისა.

ყველა დაგვეთანხმება, რომ თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებათა პირობებში, მით უმეტეს იმ ღონისძიებების შემდეგ, რასაც ჩვენი პარტია და მთავრობა ახორციელებენ კავშირგაბმულობის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, სრული შესაძლებლობაა იმისა, რომ სწრაფად, შეუფერხებლად მივიტანოთ ახალი გაზეთი, ჟურნალი თუ საფოსტო კორესპონდენცია, დანიშნულებისამებრ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ისიც, რომ ფოსტის მუშაკებს მათთვის დაკისრებულ კეთილშობილურ საქმეში ყოველთვის საკმაო დახმარებას როდი უწევენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, სხვა ადგილობრივი ორგანოები.

და აი გთხოვთ, ჩვენო მკითხველებო, თქვენ, გაზეთ „კომუნისტის“ ხელმომწერნო, აცნობოთ რედაქციას, მოგვწეროთ როდის, რა დროს, რომელ საათზე ილებთ გაზეთ „კომუნისტს“. კარგი იქნება ამავე დროს შეგვატყობინოთ — რა უშლის ხელს გაზეთის თავის დროზე მოტანას და რა იქნება საჭირო ამ გადაუდებელი საქმის მოსაგვარებლად.

ჩვენი გაზეთის ტირაჟი სულ უფრო და უფრო იზრდება. ამჟამად „კომუნისტი“ ყოველდღიურად 265 ათასი ეგზემპლარი იბეჭდება. მკითხველთა რაოდენობაც ყოველდღიურად მატულობს. ამიტომ მათთვის გაზეთის დროულად მიწოდებთან, რომ იტყვიან, სისხლხორცეულად დაინტერესებულია ჩვენი გაზეთი, მისი რედაქცია, მთელი კოლექტივი.

მაშ ასე! მოველით თქვენს წერილებს, მოსაზრებებს, წინადადებებს.

მოგვწერეთ მისამართით: თბილისი, ლენინის ქ. № 14, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია.

ახალი ავჯავი · ცროჯავი

რუსთაველის იუბილესათვის

რესპუბლიკის საზოგადოებრიობა გაცხოველებით ემზადება დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა გამოაცხადა კონკურსი მცირე ფორმის კამერული და სიმფონიური ნაწარმოებებისათვის (ვოკალური, საგუნდო, ინსტრუმენტული, შორეული ყაბრები), რომლებიც გენიალური პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ცხოვრებასა და შემოქმედებას მიეძღვნება.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრემიები:

— 1 პირველი პრემია 500 მანეთის ოდენობით, ორი მეორე პრემია თითოეული 300 მანეთის ოდენობით, სამი მესამე პრემია თითოეული 200 მანეთის ოდენობით.

კონკურსზე ნაწარმოებების წამოდგენის უკანასკნელი ვადაა მიმდინარე წლის 15 ნოემბერი. ნაწარმოებები წარმოდგენილ უნდა იქნეს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში (რუსთაველის პროსპექტი № 22) დახურული კონვერტით „რუსთაველის კონკურსისათვის“ და დევიზით.

ნაწარმოების პარტიტურის შექმნის დროს, ორკესტრის სხვადასხვა შემადგენლობასთან ერთად, სასურველია კომპოზიტორებმა გაითვალისწინონ საქართველოს კამერული ორკესტრი და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის კამერული ანსამბლი „ნონეტი“. (საქდესი).

ვაჭრობის მუშაკთა თვითმოქმედება

ამ დღეებში საქვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის კულტურის სახლში სამ დღეს მიმდინარეობდა თბილისის ვაჭრობის მუშაკთა თვითმოქმედების კოლექტივებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა საქალაქო დათვალიერება.

დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს ცენტრალური უნივერმაღის, თბილგასტრონომვაჭრობის, მარცხენა ნაპირის საბადილოების ტრესტის, მარჯვენა ნაპირის კვებვაჭრობის, თბილისის რესტორნებისა და კაფეების ტრესტის სიმღერისა და ცეკვის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა.

დათვალიერებამ ნათელყო მხატვრული კოლექტივების შემოქმედებითი წარმატება, მესოფლეების კარგი მხატვრული დონე, რეპერტუარის და ყანრის მრავალფეროვნება.

ჟიურის გადაწყვეტილებით საქალაქო დათვალიერებაში პირველი ადგილი მიეკუთვნა თბილგასტრონომვაჭრობის (გუნდის ხელმძღვანელი—მ. ბაქრაძე, ქორეოგრაფი,—ა. ფავლენიშვილი, საესტრადო ჯგუფის ხელმძღვანელი — რ. ყენია) და თბილუნივერმაღის (გუნდის ხელმძღვანელი—ო. ბერძენიშვილი, ქორეოგრაფი — შ. ახპერაშვილი) მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებს. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის რესტორნებისა და კაფეების ტრესტთან არსებული თვითმოქმედი ანსამბლი (ანსამბლის ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. ხვიტია, ოლტბარი — გ. ბუღაძე). მესამე ადგილი მიეკუთვნა მარჯვენა ნაპირის კვებვაჭრობის თვითმოქმედ მხატვრულ კოლექტივს (ლოტბარი ო. ბერძენიშვილი).

საღამოზე გამოვლინდა ბევრი ნიჭიერი თვითმოქმედი შემსრულებელი, მათ შორის ა. მთვრალაშვილი, გ. თოხაძე, ო. ჯვარშეიშვილი, გ. ტატიშვილი, გ. კალანდაძე, ე. მჭედლაშვილი, ს. თეთოაშვილი, ნ. ვაკნაძე, ა. კუბლაშვილი, ა. ქორელიძე, გ. გოგსაძე, გ. და ი. კელეტარიშვილები, ფ. ჩელკაშინი, გ. ხეცურიანი.

ნ. გოგმართელი.

მესტია. ფოტო ს. მამასახლისისა.

ბიბლიოთეკა პლანტაციაში

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ახლა ჩაის რაიონებში მთელი ძალით გაჩაღდა ჩაის კრეფა. „შესვენების“ შემდეგ ჩაის დუყები უხვად შემოვიდა. ფოთლის საკრეფად ყველანი პლანტაციებში არიან გასული. აბა ვის სცალია ახლა ბიბლიოთეკაში შესასვლელად, ახალი წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების წასაკითხად. სამაგიეროდ აგიტატორები, ბიბლიოთეკების გამგეები ადგილზე მიდიან მეჩაიეებთან და თან მოაქვთ ახალი წიგნები, ჟურნალ-გაზეთები.

ასეა ოდიშის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაშიც, ოდიშელ მეჩაიეებთან ჩაის ფარდულებში სასოფლო ბიბლიოთეკის გამგეს ვ. შედანიას მიაქვს გაზეთები, ჟურნალები, მხატვრული ლიტერატურა.

* * *

სურათზე: ვ. შედანიამ (მარცხნიდან მეორე) ახალი წიგნები მიიტანა კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის მეჩაიეებთან.

ფოტო ო. თოფურიასი.

ქარგი საჩუქარი

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე მ. ორაგველიძე) საუკეთესო საჩუქარი გადასცა გმირ მეჩაიეებს. მეხუთე ბრიგადის მეოთხე რგოლის ჩაის პლანტაციაში აიგო კაპიტალური თავშესაფარი ფარდული, აქ მოწყობილია შხაპი ცივი და ცხელი წყლით.

ეს საინტერესოა

გოლიათური ქანდაკების დეტალი

ამას წინათ ტაჯიკეთში არქეოლოგიური გათხრებისას ბუდისტების მონასტრის ყოფილ ადგილას ე. წ. აჯინაოთეკეს ბორცვში აღმოაჩინეს დეტალი უზარმაზარი ქანდაკებისა, რომელიც მიეკუთვნება ჩვენი წელთაღრიცხვის მეექვსე-მეშვიდე საუკუნეებს. ამ აღმოჩენამ არქეოლოგ მეცნიერებს შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ნაპოვნი ძეგლის გულდასმით შესწავლა უთუოდ ბევრ გარკვეულობას შეტანს ტაჯიკი ხალხის ისტორიის ზოგი ბუნდოვანი საკითხის გარკვევაში.

საინტერესოა ამ აღმოჩენის მომენტი. არქეოლოგები ბორცვის გათხრისას წაწყდნენ ძველი ნაგებობის ნაშთებს. გათხრა გრძელდებოდა და მოულოდნელად წერაქვი მოხვდა რაღაც უცნაური მოყვანილობის ქვას, რომლის ფორმის დადგენა, სიღრმიდან ამოღების შემდეგ მხოლოდ შორიდან შეხედვით მოხერხდა, ეს იყო ადამიანის ფეხის ტერფის მსგავსი დეტალი უზარმაზარი ქანდაკებისა. გაზომვისას აღმოჩნდა, რომ ტერფის სიგრძე ქუსლიდან თითების წვერამდე თითქმის 2 მეტრს უდრის. აღმოჩნდა ისიც, რომ ეს არ არის ქვა, არამედ თიხისაგან ნაძერწია. არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელმა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ბ. ა. ლიტვინსკიმ განაცხადა, რომ ეს ტერფი ნაწილია გოლიათური ქანდაკებისა, რომლის სიმაღლე, სულ ცოტა 11 მეტრი მაინც უნდა იყოს. დადგა აღმოჩენილი დეტალის შენახვის საკითხი. იმის გამო, რომ იგი ჰაერზე ამოღებისას სწრაფად დაიშლებოდა, ხოლო სათანადო ძვირფასი ქიმიკატები და ისიც რამდენიმე ცისტერნის რაოდენობით მომზარაგებული არ ჰქონდათ, გადაწყვიტეს მისი ხელახლა დამარხვა, მიწის სიღრმეში დაცვა.

არქეოლოგიური გათხრები აჯინაოთეკეს ბორცვზე, რაც ქართულად — „კუდიანების ბორცვს“ ნიშნავს, კვლავ გრძელდება.

ცენტრალური პრქივის ფილიალი ზესტაფონში

ზესტაფონი. (საკ. კორ.). აქ შეიქმნა საქართველოს სსრ ცენტრალური არქივის ფილიალი, რომლის მიზანია შეაგროვოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალები და მოაწყოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები. ფილიალი შეაგროვებს და დაიცავს გამოჩენილი ადამიანების — პარტიული, სახელმწიფო, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მუშაკების, ომისა და შრომის გმირების პირად არქივებს. ფილიალი მოემსახურება ზესტაფონის, ორჯონიკიძისა და თერჯოლის რაიონებს.

გაზეთ „ლენინელის“ თანამშრომელმა დ. გველესიანმა ფილიალს გადასცა ძველი მუშა-პოეტის ა. გეწაძის პირადი არქივი. ფილიალისათვის პირადი არქივების გადაცემის სურვილი გამოთქვეს ცნობილმა ქართველმა მოჭიდაგემ მ. მაჩაბელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ს. საყვარელიძემ, დამსახურებულმა მასწავლებელმა ი. სამხარაძემ.

მომავალ წელს ზესტაფონში ფილიალისათვის აიგება სამსართულიანი შენობა.

ახალი წიგნები

მიხეილ მრევლიშვილი—საბედისწერო მოსახვევი. მოთხრობები. რედაქტორი გრ. ჩიქოვანი, მხატვარი გ. ნადირაძე. გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“. გვ. 442, ფასი 1 მან. 2 კაპ.

რევაზ ჯაშარიძე — ბუხეზვალდის სამრეკლო. რედაქტორი ლ. ცაგარეიშვილი, მხატვარი ჯ. ლოლუა. გამომცემლობა „ნაკადული“. გვ. 178, ფასი 45 კაპ.

ალექსანდრე კალანდაძე — ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან. რედაქტორი ლ. ნინიტაშვილი, მხატვარი ნ. ხინელი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, გვ. 500, ფასი 1 მან. 21 კაპ.

ჭადრაკი

ლარსენი უტევს

ბლედი, 28 ივლისი. (საკდესი). პრეტენდენტების მიხეილ ტალისა და ბენტ ლარსენის ნახევარფინალური საჭადრაკო მატჩის მეოთხე პარტია გადაიდო 41-ე სვლაზე. ლარსენს მატერიალური უპირატესობა აქვს.

ლარსენმა აირჩია ახალი სისტემა ალიოხინის დაცვისა, რაც მოულოდნელი იყო ტალისათვის. კრიზისულ მომენტში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ერთ სვლაზე 45 წუთი იფიქრა.

რათა გამოეწვია ხელსაყრელი გართულებანი, ტალმა პაიკი შესწირა. მაგრამ თამაშის მსვლელობამ არ გაუმართლა იმედი მსოფლიოს ექს-ჩემპიონს. ლარსენმა მოიგერია იერიში, ხელთ იგდო ინიციატივა და მოიერია ფიგურების გაცვლა შემდეგ ეტლების დაბოლოებაში გადაიყვანა პარტია.

ტურის დამთავრების შემდეგ ჟურნალისტთა შეკითხვაზე ლარსენმა უპასუხა, ჩემი გამარჯვება გადადებულ პოზიციაში მხოლოდ ტექნიკის საკითხია.

„ლოკომოტივმა“ ტემპს უმატა

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდების მატჩი ფეხბურთში. ადგილობრივი „ლოკომოტივი“ შეხვდა ზაპოროჟიეს „მეტალურგს“.

დასაწყისშივე წარმატებას სტუმრებმა მიაღწიეს (ბურთი გაიტანა ნესტერენკომ), მალე ჩუბინიძემ წონასწორობა აღადგინა, ორი წუთის შემდეგ მაზიაშვილმა ეფექტური ბურთი გაიტანა.

მეორე ნახევარშიც ლოკომოტიველები ინარჩუნებდნენ უპირატესობას და კიდევ ორი გოლით გაზარდეს ანგარიში.

გამარჯვეს ლოკომოტიველებმა ანგარიშით 4:1.

„ტორპედო“ — სპა

გუშინ მოსკოვის „ტორპედოს“ საკუთარ მოედანზე პირველი წრის უკანასკნელი პაექრობა ჰქონდა. ამჯერად მისი მეტოქე დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი იყო. გაიმარჯვა „ტორპედომ“ ანგარიშით 2:0.

ტალმა ყაიმს მიაღწია

გუშინ მოეწყო გადადებული პარტიის დამთავრება. მ. ტალი იშვიათი შეუპოვრობით და სიზუსტით იბრძოდა. მან ალა თუ აღადგინა წონასწორობა, არამედ პაექიც კი მოიგო, მაგრამ გამარჯვება შეუძლებელი იყო და 77-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

მატჩის ანგარიში გახდა 2:2. დღეს მეტოქენი ისვენებენ. ხვალ შედგება მეხუთე პარტია.

ნ. ალექსანდრია— საქართველოს ჩემპიონი

გუშინ ბორჯომში დამთავრდა საქართველოს 1965 წლის პირველობის გათამაშება ჭადრაკში.

თავიდანვე ჩემპიონის ტიტულისათვის ძირითადი ბრძოლა ნ. ალექსანდრიასა და ა. ჩაიკოვსკაიას შორის მიმდინარეობდა. უკანასკნელი ტურის წინ მათ ნახევარი ქულა ჰყოფდა, წინ იყო ნ. ალექსანდრია.

პირველობის საკითხი უკანასკნელ მეოთხეთმეტე ტურს უნდა გადაწყვეტა. ჩაიკოვსკაიამ ადვილად დაამარცხა სვანაძე, სამაგიეროდ კუპრაშვილისა და ალექსანდრიას პარტიაში შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა. ბოლოს ალექსანდრიამ შეძლო პაიკის მოგება, რომელმაც გადაწყვიტა პარტიის ბედი მის სასარგებლოდ.

ამრიგად, ნ. ალექსანდრიამ 13,5 ქულა შეაგროვა და საქართველოს ჩემპიონი გახდა. მეორე ადგილზე გამოვიდა ა. ჩაიკოვსკაია (13 ქულა), მესამეზე — ც. ყაბაბრიშვილი (9 ქულა), მეოთხეზე — ნ. ჩიქობავა (8 ქულა), მეხუთეზე — ვ. კუპრაშვილი (7,5 ქულა), მეექვსე, მეშვიდე და მერვე ადგილები შეიდ-შვიდი ქულით გაიყვნენ მ. ბურდულმა, ნ. მანველოვამ და მ. ჩომახიძემ.

სპორტული ქრონიკა

● ცნობილია საბჭოთა და რუმინელმა მძღოლსანმა ქალებმა თ. პრესმა და ი. ბალაშმა მონაწილეობა მიიღეს მძღოლსანთა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც იტალიის ქალაქ გროსეტოში გაიმართა. აქ მათ ბადრის ტყორცნასა და სიმაღლეზე ხტომაში ბადალი არ ჰყავდათ. თ. პრესმა ბადრი ტყორცნა 57 მეტრსა და 50 სანტიმეტრზე, ი. ბალაში გადახტა 180 სანტიმეტრზე.

● პამირიდან მიღებულია ცნობა, რომ უზბეკეთის ალპინისტთა ერთმა ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა სპორტის ოსტატი ელჩიბეკოვი, პირველად დაიპყრო კომუნისტური აკადემიის სახელობის პიკი, რომლის სიმაღლე 6.439 მეტრია. ეს ასევე ალპინიზმში საკავშირო ჩემპიონატის პროგრამაში შედის.

● ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები ●

სოფლის სამაყე

სპორტული აზარტით იბრძოდა ფარნაოზი. მეტოქეს ბეჭებზე ხელები საღტასავით შემოაღო, მაგრამ ვერ იქნა და ვერა, შუაკაურზე ფეხი სიახლოვესაც ვერ გაუტარა. საჭიდაო სარბიელზე მესამედ იხმეს. ჯერ იყო და ამერიკელი პარისი დასცა, მერე ინგლისელი სვინეი და ახლა კარგი დღე არც კანადელ როჯერსს ადგა. ბობოქრობდა ტოკიოს ოლიმპიური დარბაზი. ათასობით იაპონელი გულშემატკივარი, ძიუ-დოს მოხდენილი ილეთები, დამსწრეთა ომახიანი შეძახილები მოასპარეზეთა გულს აღანთებდა. ფიცობდა ახმეტელი ჭაბუკი, ტანმაღალ მეტოქეს კისრულს უმზადებდა.

მეხუთე წელია, რაც ფარნაოზ ჩიკვილაძემ ქართული ჭიდაობის მცირე ასპარეზიდან საქვეყნო სახელი მოიხვეჭა. ჯერ კიდევ აწყურის საშუალო სკოლაში სწავლის დროს საფუძვლიანად შეისწავლა სარმა, კისრული, შუაკაური, მოგვვერდი — ქართული ჭიდაობის ყველა ილეთი. დიდებისაკენ მიმავალი გზა მართლაც რომ რთული იყო, მასაც უგემნია წარუმატებლობის უსიამოვნო განცდა.

შვიდიოდე წლის წინათ ფარნაოზმა აწყურის საშუალო სკოლა ვერცხლის მედლით დაამთავრა, უმაღლესი ცოდნის მისაღებად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიაშურა და სულ მალე გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტი ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენთა რიგებში ჩადგა. რა დაიწყებს ფარნაოზს 1960 წლის ზაფხულს, ხარკოვში ჩატარებულ სტუდენტთა ასპარეზობას, ჭიდაობა სამბოში ჩემპიონის პირველ მაისურსა და ოსტატობისათვის საჭირო ნორმის შესრულებას. სიხარულის უზომო გრძნობით იყვნენ გაბრუებულნი ძმა ზაალ ჩიკვილაძე და მწვრთნელი ზურაბ დენტომელი.

ორი წლის შემდეგ კიშინიოვში ჩვენი ქვეყნის უძლიერეს სამბისტთა პირველობაზე ჩიკვილაძემ პირველი ადგილის მფლობელ ა. კიკნაძესთან ქულებით წაადგა, დაჯაბნა პრიზიორები ბორის შაპოშნიკოვი, ანატოლი ბრატკო, ვასილ უსიკი და მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა. სწორედ აქ მოხდა ის, რასაც ფარნაოზი არ ელოდა. 1963 წელს უნდა ჩატარებულიყო ევროპის პირველობა ძიუ-დოში. ჭიდაობის ეს სახეობა ჩვენი ქვეყნის ჭაბუკებისათვის ახალი ხილი იყო, და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვლადიმერ ანდრეევი პერსპექტიული მოჭიდავეების შესარჩევად კიშინიოვში წასულიყო. ფარნაოზ ჩიკვილაძე თანამემამულეებთან ა. კიკნაძესთან და ა. ქიბრწაშვილთან ერთად ჩვენი ქვეყნის ნაკრებში შეიყვანეს.

გულმოდგინე წვრთნამ, მონდომებამ და სიმხნევემ თავისი გაიტანა. მალე მათ დემოკრატიული ქვეყნების პირველობაზე ვხედავდით. აქ ჩიკვილაძეს ექვსი შეხვედრა ჰქონდა, ექვსივე მოიგო. აი სარბიელზე ევროპის ამპოლუტური ჩემპიონის კარლ ნიტცის წინ ახმეტის რაიონის პატარა სოფელ ჩაბინაანში აღზრდილი ჩიკვილაძე იდგა. ფარნაოზს მხოლოდ 3 წუთი და 20 წამი დასჭირდა ამ გოლიათის დასამარცხებლად და ოქროს თასი დაიმსახურა.

ქართველი ფალავნის სპორტულ ნადავლში ვხედავთ განეფოს თამაშებსა და ტოკიოს ოლიმპიურ ასპარეზობაში მიმიე წონის მოჭიდავეთა შორის მან მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. ფარნაოზ ჩიკვილაძეს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა.

ძიუ-დოს ილეთების უბადლო ცოდნა და ჩინებული ფიზიკური მომზადება გამოამჟღავნა ჩიკვილაძემ მიმდინარე წელს მადრიდში გამართულ ევროპის პირველობაზე. პროფესიონალებში მან ოქროს, ხოლო მოყვარულებში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

ამიტომ არის, რომ უყვართ იგი და პატივს სცემენ. უხარია და ეამაყება ორმოცკომლიან სოფელსაც, რომელმაც სპორტის ოთხი ოსტატი აღზარდა.

ვ. ყუნიტაშვილი.

ახმეტის რაიონი.

* * *

სურათზე: ფარნაოზ ჩიკვილაძე.

„ტალმა“ ულანდა

გუშინ ბორჯომში დამთავრდა საქართველოს 1965 წლის პირველობის გათამაშება ჭადრაკში.

„ეროვნული ბიბლიოთეკა“

ამინდი

როგორი იქნება აგვისტო?

ზაფხულის უკანასკნელი თვე საბჭოთა კავშირის ტერიტორიის მეტ ნაწილზე სითბოს მოიტანს; ზომიერ და მაღალ განედებში ჰაერის ტემპერატურა ჩვეულებრივზე რამდენადმე მაღალი იქნება. ნალექების რაოდენობა კი — ნაკლები. ჩრდილოეთი რაიონების გარდა წვიმები ყველგან ხანმოკლე, ძლიერი იქნება. ნისლია შორეული აღმოსავლეთის სანაპიროზე, დასავლეთ ციმბირში და ურალზე. აგვისტოს მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთ რაიონებში მოსალოდნელია შემოდგომის პირველი მსუბუქი ყინვები.

საბჭოთა კავშირის ევროპულ ტერიტორიაზე განსაკუთრებით ეცხელება და მცირე მოლრუბლულობა იქნება თვის დამდეგს, მეორე დეკადის ბოლოს და მესამე დეკადის დამდეგს. დანარჩენ დროს შესაძლებელია წვიმები და ელჭექი.

სამხრეთ უკრაინაში, კრასნოდარის მხარესა და კავკასიაში მცირე მოლრუბლულობა იქნება. ნალექების რაოდენობა დასავლეთ რაიონებში საშუალო მრავალწლიურის ახლო იქნება. ცენტრალური და სამხრეთ რაიონებში ეკი ნაკლები. საშუალო თვიური ტემპერატურა — ჩვეულებრივზე მაღალი.

წვიმიანი და გრილი ამინდი იქნება ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში. საბჭოთა კავშირის ევროპულ ტერიტორიაზე ჰაერის ტემპერატურა დღისით 28 გრადუსამდე აიწევს ხოლმე, სამხრეთში კი — 32 გრადუსამდე, სიგრილე იქნება აგვისტოს შუა რიცხვებში და დამლევს. ჩრდილოეთ რაიონებში ღამით შესაძლებელია მსუბუქი ყინვები.

ურალის სამხრეთ ნაპირზე და კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე აგვისტოში მოსალოდნელია მცირეღრუბლიანი ამინდი. ყველაზე მაღალი ტემპერატურა იქნება პირველ ხუთდღიურში და 19-24 აგვისტოს (დღისით 30-35 გრადუსის, დანარჩენ დროს დღისით 23-28 გრადუსი, ღამით 15-20 გრადუსი.

ყაზახეთში ჭირვეული ამინდი წვიმებით, ელჭექით. ქარით, მტვრიანი ქარიშხლებით მოსალოდნელია 1-5 და 17-26 აგვისტოს.

შუა აზიაში ტემპერატურა ჩვეულებრივზე რამდენადმე დაბალი იქნება. ყველაზე მეტი სიცხე (დღისით 36-40 გრადუსამდე) მოსალოდნელია 14-20 აგვისტოს, ხოლო 4-8 და 22-27 აგვისტოს სიგრილე იქნება (ღამით 11-16 გრადუსამდე).

შორეულ აღმოსავლეთში მოსალოდნელია წვიმები, პირველ და მეორე დეკადაში — ელჭექი.

ზღვისპირეთის მხარეში, სახალინზე, კამჩატკაზე ნისლი და ოქროა. თვის პირველ ნახევარში მოსალოდნელია თბილი ამინდი 30 გრადუსამდე ტემპერატურით, თვის მეორე ნახევარში აცივდება.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/შ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, უცხოეთის — 3-15-63, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ᲡᲡ 11938

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝᲜᲔᲑᲘ